

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე:** ლიკა გიორგაძე **წევრ(ებ)ი:** კახაბერ ფარცვანია

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215606609

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჭიათურის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჩხეთური
საფოსტო ინდექსი	5500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლის გვერდი ვებგვერდზე: mhttps://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mechkheturi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	595519637

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 ნოემბრის №MES 3 25 0001538905 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 25 და 26 ნოემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლაში მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 და 26 ნოემბერს. ვიზიტის ფარგლებში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 ნოემბრის №MES 3 25 0001538905 ბრძანების საფუძველზე, დაწესებულება შეფასდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტების მოთხოვნებთან მიმართებით.

ვიზიტი წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული, დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეაფასა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა და დამატებით შეფასდა პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტების შესაბამისად დაწესებულებაში მიმდინარე/განხორციელებული პროცესები, მოეწყო ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერებაც.
ვიზიტი მოიცავდა ინტერვიუებს სკოლის დირექტორთან, საქმისმწარმოებელთან, ბუღალტერთან, ექთანთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში გასაუბრება შედგა სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან.
შეხვედრები მიმდინარეობდა თანამშრომლობით ატმოსფეროში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფს მუშაობაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
60	11

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხარვეზების აღმოფხვრისა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სკოლა წარმოადგენს მტკიცებულებებს. წერილს ერთვის 22 დოკუმენტი. მათი განხილვის საფუძველზე ნაწილობრივ შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები. კერძოდ:

1. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შემადგენლობაში გათვალისწინებულები არ იყვნენ მოსწავლეები და მშობლები, სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული წესით. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი, სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შემადგენლობის განახლების ბრძანება და ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება და N 1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი და არა სამეურვეო საბჭო. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელშიც შეტანილია კორექტირებები, თუმცა, დოკუმენტზე აღნიშნული დამტკიცების თარიღი და ნომერი უცვლელია (დამტკიცებულია სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანებით). შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ტექნიკურ უზუსტობასაც, თუმცა, რადგან შესაბამისი ბრძანება წარმოდგენილი არ არის, ექსპერტთა ჯგუფი ვერ ადასტურებს დოკუმენტის განახლებული სახით დამტკიცების/მასში ცვლილების შეტანის ფაქტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ იცვლება. N 1.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

3. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დამტკიცებული არ იყო შემდეგი პროცედურის დაცვით: სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება საბჭოს მიერ დოკუმენტის დამტკიცების ფაქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება. N 1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებული არ იყო შემდეგი პროცედურის დაცვით: სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. ამასთან, შეუსაბამობები ფიქსირდებოდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს შორის.

   დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება საბჭოს მიერ სკოლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების ფაქტი. ამასთან, შეუსაბამობა ფიქსირდება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის შეფასებას. N 1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

5. დასკვნის პროექტში №1.2.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით ხარვეზი დადგენილი არ ყოფილა. არგუმენტირებული პოზიციის შესახებ კორესპოდენციაზე თანდართული დაწესებულების „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“

დოკუმენტი ხარვეზიანია და აღარ მოიცავს ინფორმაციას მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შესახებ. (შესაძლოა, ადგილი აქვს ტექნიკურ უზუსტობასაც, რადგან დოკუმენტის გვერდები თანმიმდევრულად არ მიჰყვება ერთმანეთს) და არც სხვა წესი/რეგულაციაა დამატებით წარმოდგენილი, რითაც დადასტურდება, რომ დაწესებულებამ მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით შეიმუშავა. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს აღარ აქვს დაწესებულებასთან საკითხის დამატებით დაზუსტების შესაძლებლობა, შესაბამისად, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება. №1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

6. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ განსაზღვრული არ არის სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტით და ასევე არ არის აღნიშნული მიდგომა გამოყენებული სკოლის პრაქტიკაში.

   დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც აღარ მოიცავს ინფორმაციას მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შესახებ. ასევე, წარმოდგენილი არ არის ინფრომაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის შეფასებას. N 1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

7. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ skolebi.emis.ge-ზე გამოქვეყნებული მონაცემებით ან სხვა საშუალებით სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობა არ დასტურდებოდა.
   პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა და ვებგვერდზეც განათავსა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება. N1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. როგორც დასკვნის პროექტში აღინიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები წარმოდგენილი არ იყო, ვერ დადასტურდა მისი გამოყენება სკოლის შემდგომ განვითარებაში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალსიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება. N 1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

9. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არ არის დამტკიცებული შემდეგი პროცედურის დაცვით: სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას.
   დაწესებულებამ პროექტის გაცნობის შემდეგ დამატებით წარმოადგინა ვიზიტის დასრულების შემდეგ შემუშავებული დოკუმენტი, კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც ადასტურებს, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა სკოლის დირექტორის წარდგინებით დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება. N3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

10. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ შეუსაბამობები ფიქსირდება სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებასა და სკოლის საშტატო განრიგს შორის.
    ამასთან, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ყველა პირად საქმეში წარმოდგენილი არ იყო კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები: ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ.

    დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ დამატებით, ერთ თანამშრომელთან დაკავშირებით წარმოადგინა სამივე ცნობა და ასევე, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ერთი თანამშრომლის, პირადი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლების ბრძანება (N1/კ-26, 19/12/2025), რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა. ამასთან, განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებასა და სკოლის საშტატო განრიგს შორის არსებულ ცვლილებებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია, ინდიკატორის შეფასება არ შეიცვალა.
    N 3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

11. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ სკოლაში არ იყო განსაზღვრული სკოლის თანამშრომლების შეფასების კონკრეტული პროცედურა, პერიოდულობა, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი და პროცესში გამოსაყენებელი მიდგომები.
    დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულება, წარმოადგინა განახლებული სახით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის განხილვის საფუძველზეც, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება. N 3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

12. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ სკოლას არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი მის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაც. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს შორის არ არის საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტი, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის შეფასებას. ინდიკატორი N 3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

13. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღინიშნა, რომ სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.
    დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (განახლებული დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-41 ბრძანებით). ამასთან, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი აფასებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და რამდენად ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის შეფასებას. N 3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

14. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ რომ სკოლას აღწერილი არ აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.
    დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ დამატებით წარმოადგინა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (განახლებული დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-41 ბრძანებით), რომელის სკოლის სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად უკეთ ადგენს ჩარჩოს და ეტაპებს, თუმცა, ამავე დოკუმეტით ჩამოთვლილი/განსაზღვრული არ არის სკოლის მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე პროცესები და არ არის თითოეული მათგანი აღწერილი. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის შეფასებას. N 3.3.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

15. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge) განთავსებული არ არის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგარმებზე ჩარიცხვის პროცედურების და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ, ასევე, ფინანსური მდგრადობის შესახებ განთავსებული დოკუმენტები არ იკითხება.
    არგუმენტირებული პოზიციის შესახებ კორესპოდენციაზე თანდართული დოკუმენტების განხილვისა და დასკვნაზე მუშაობის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა კვლავ გადაამოწმა skolebi.emis.ge-ზე სკოლის გვერდი, მითითებული ხარვეზი არ არის გამოსწორებული. N 3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

16. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ სკოლაში არ არის განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობები კარიერული და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის კუთხით.
    დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 25 დეკემბერს შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი, რომლის საგანია მოსწავლეებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების გაცნობა და პროფესიული განათლების შესახებ მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება.
    ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს მემორანდუმის გაფორმების ფაქტს და მიაჩნია, რომ თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ განვითარებაში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი არ ფლობს ინფორმაციას განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესახებ, რის გამოც, არ ცვლის შეფასებას. N 4.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

შენიშვნა:

არგუმენტირებულ პოზიციის შესახებ კორესპოდენციასთან ერთად დაწესებულების მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დამატებით წარმოდგენილი არ არის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1	☐ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N.1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი და არა სამეურვეო საბჭო.
ინდიკატორი N.1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	სტრატეგიული მიზანი და მის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანა შინაარსობრივად ემთხვევა ერთმანეთს შემდეგ შემთხვევებში: სტრატეგიული მიზანი „სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“ და მისი ერთ-ერთი ამოცანა „სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა“; სტრატეგიული მიზანი „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება“ და მისი ერთ-ერთი ამოცანა „ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“.
ინდიკატორი N.1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	შეუსაბამობა ფიქსირდება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს შორის. იხ. ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი N.1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.	არგუმენტირებული პოზიციის შესახებ კორესპოდენციაზე თანდართული დაწესებულების „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ არ მოიცავს ინფორმაციას მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შესახებ.
ინდიკატორი N 1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.	სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ განსაზღვრული არ არის სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტით და ასევე არ არის აღნიშნული მიდგომა გამოყენებული სკოლის პრაქტიკაში.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროპცედურებ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვ და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობ პრინციპების დაცვით	შეუსაბამობები ფიქსირდება სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებასა და სკოლის საშტატო განრიგს შორის.
ინდიკატორი N 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილ საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმ შესაბამისად.	სკოლას არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი მის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაც.

ინდიკატორი N 3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა არ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი N 3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;	სკოლას აღწერილი არ აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge) განთავსებული არ არის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგარმებზე ჩარიცხვის პროცედურების და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ, ასევე, განთავსებული ფინანსური მდგრადობის ანგარიში არ იკითხება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზი**

ინდიკატორი N 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სკოლაში არ არის განხორციელებული/დაგეგმილი აქტივობები კარიერული და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის კუთხით.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

---

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი № 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.	სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ნოემბრის №2-38/ა ბრძანებაში შემდეგი ტექნიკური უზუსტობის გასწორება: - დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას მიუთითოს კონკრეტული პირი ან თანამდებობა იმ სახით, რომ იდენტიფიცირდებოდეს კონკრეტული ადამიანი. არ არის სასურველი, ჯგუფის წევრად განსაზღვრული იყოს ზოგადად „მოსწავლე“, „მშობელი“, „თემის წარმომადგენელი“, „საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის წევრი“, ამასთან, ასეთივე მიდგომით იხელმძღვანელოს სამუშაო ჯგუფის ოქმების წარმოებისას და ნაცვლად ზოგადი ჩანაწერისა (სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები) კონკრეტულად მიუთითოს ვინ ესწრებოდა სხდომას.
ინდიკატორი №1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სასურველია, სკოლის „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განისაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სრული ციკლის წარსამართად რეკომენდირებული მინიმალური ვადა და პროცესს დაწესებულებამ დაუთმოს გონივრული დრო.
ინდიკატორი № 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას	სასურველია, სკოლამ, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული

	და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანა და მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში შეიმუშაოს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
ინდიკატორი № 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ინდიკატორების ჩამოყალიბებისას დაწესებულება ფოკუსირდეს მისაღწევ შედეგზე და არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების წყაროზე (მაგ. ოქმი, ანგარიში), ინდიკატორების ჩამოყალიბებისას აღწეროს შესაბამისი მიმართულებით მისაღწევი სასურველი შედეგები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებაზე დაფუძნებულ პრევენციურლი და ინტერვენციული პერსონალ მართვის პოლიტიკა	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვ პოლიტიკის დოკუმენტში აღწეროს, როგორ ახდენს არსებული რესურს პირობებში პრაქტიკაში სასწავლო პროცესის უწყვეტობას.
ინდიკატორი № 3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ გაითვალისწინოს პროცესში არასრულწლოვნების მონაწილეობის სპეციფიკა და „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად, მეტად მოახდინოს პროცედურების ადაპტაცია ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე.

ინდიკატორი № 3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამის საქმისწარმოების წესი	ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ გადახედოს საქმისწარმოების წესს და მკაფიოდ განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი დოკუმენტაცია იწარმოება მატერიალურად და რომელი ელექტრონულად, რომელი სახის დოკუმენტებისთვის როგორ ხდება ნომრის მინიჭება, როგორ წარმოებს ისეთი დოკუმენტების აღრიცხვა, როგორებიც არის: მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ოქმები, სხვადასხვა იურიდიულ/ფიზიკურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N4.2.1.3	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.	სასურველია, შესწორდეს რემედიაციის დებულებაში სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან დაკავშირებით დაშვებული ტექნიკური უზუსტობა, რადგან სკოლა არ ახორციელებს საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.
ინდიკატორი № 4.2.2.2	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.	სკოლას, სასურველია, ჰქონდეს მკაფიოდ დადგენილი მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც მოახდენს მოსწავლეთა ინფორმირებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.
ინდიკატორი № 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სკოლამ, სასურველია, სამომავლოდ შეიმუშაოს სისტემური მექანიზმი გაწეული მომსახურების შედეგების შესაფასებლად.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*შენიშვნა*
ინდიკატორი N.1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ, მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო ჩართულობის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები.	შესრულდა.
ინდიკატორი N.1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლამ მტკიცებულების სახით უნდა წარმოადგინოს სასკოლო საზოგადოებისაგან მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარების ამსახველი დოკუმენტაცია.	შესრულდა.
ინდიკატორი N.1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლამ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია უნდა წარმოადგინოს ისეთი ფორმულირებით, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები.	შესრულდა.
ინდიკატორი N.1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	ერთწლიან სამოქმედო გეგმაში უნდა ჩანდეს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმასთან მკაფიო კავშირი.	შესრულდა.

ინდიკატორი N.1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმაში ნათლად უნდა განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	შესრულდა.
ინდიკატორი N.1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.	სკოლას უნდა ჰქონდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (სასურველია დამოუკიდებელი სახით), რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.	შესრულდა.
სტანდარტი N3	***სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა***	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***	***შენიშვნა***
ინდიკატორი N.3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 05.08.2023 - 30.11.2023, პედაგოგთა პირად საქმეებში სრულად უნდა იქნას წარმოდგენილი „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 21 მუხლის 1^2 პუნქტითა და მუხლი 33^1 გათვალისწინებული მოთხოვნა ნასამართლეობის შესახებ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ნასამართლეობის	არ შესრულდა.

		მოხსნისა ან გაქარწყლების შესახებ.	
ინდიკატორი N.3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	სკოლამ, ხარისხის ჯგუფის დებულებასთან ერთად, უნდა შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ნათლად იქნება ასახული პროცესული მიდგომები ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.	არ შესრულდა.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 05.08.2023-05.08.2024, შენობის გარე პერიმეტრზე უნდა დამონტაჟდეს ვიდეო კამერები, კანონმდებლობით გათავლისწინებული რეგლამენტის შესაბამისად.	შესრულდა.
ინდიკატორი N 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	საჭიროა დამატებითი მტკიცებულება ვიდეომონიტორინგის ეკრანის იზოლირების შესახებ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად.	შესრულდა.
ინდიკატორი N 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 05.08.2023-05.08.2024 პერიოდში, უნდა განხორციელდეს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობა და აღჭურვა.	შესრულდა.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*შენიშვნა*
ინდიკატორი N.4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 05.08.2023-29.12.2023 პერიოდში, უნდა შემუშავდეს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.	შესრულდა.
ინდიკატორი N.4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 05.08.2023-29.12.2023 პერიოდში, უნდა მოხდეს აქტივობების დაგეგმვა კარიერული და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის კუთხით.	არ შესრულდა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ავტორიზაციის პროცესის გავლის შემდეგ 2025 წლის სექტემბერში განახლებული სახით ჩამოყალიბებული მისიისა და ხედვის განაცხადი. სკოლის მისიაა მოსწავლეზე ორიენტირებულ, პოზიტიურ სასწავლო გარემოში ფორმალური და არაფორმალური განათლების ორგანული შერწყმით, სტემ საგნების გაძლიერებული სწავლებით, აღზარდოს ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები.
სკოლის ხედვაა, რომ უახლოესი ათი წლის მანძილზე შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რის მიღწევასაც უზრუნველყოფს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით.
მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ემსახურება მათ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მისიისა და ხედვის განაცხადი, წარმოდგენილი აქცენტებით (მოსწავლეზე ორიენტირებული, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, ფორმალური და არაფორმალური განათლების სინთეზი, ტოლერანტი, კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდა, მათი გლობალური ფუნქციური უნარებით აღჭურვა და ა.შ.), სასკოლო

საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ წარმოაჩენს სკოლას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დგინდება შემდეგი: დაწესებულებამ პირველ ეტაპზე, მეთოდოლოგიური დოკუმენტით (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანებით) განსაზღვრა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით: სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი. პროცესი უნდა იყოს თანამონაწილეობითი, სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატში უნდა მოხდეს მისიისა და ხედვის შემუშავება, ასევე, დაინტერესებულ მხარეებთან პროექტების გაზიარება. აღნიშნულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინება.
სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-13 ბრძანებით დამტკიცდა სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილები არიან სკოლის დირექციის, სკოლის ადმინისტრაციისა და კათედრების წარმომადგენლები. ამასთან, სამუშო ჯგუფის შემადგენლობაში არ არიან მშობლებისა და მოსწავლეების წარმომადგენლები.
დაწესებულებაში 2025 სასწავლო წლის სექტემბრის თვეში (2 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე პერიოდში) შემუშავდა ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები (იმ სახით, როგორც ეს დასკვნაში განხილულია ზემოთ). ამასთან, ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა უშუალოდ მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესში სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანინიერი წარმომადგენლების ჩართულობას, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრული წესით. ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა აქტი, რომელშიც ფიქსირდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები მოგვიანებით გაეცნენ პროექტებს (სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს), მოწონებულია მათ მიერ. აქტს ხელს აწერენ სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. დოკუმენტი დათარიღებულია 15 სექტემბრით, ამავე თარიღით დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც ასახულია დაწესებულებისგანახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული, რის შესახებაც აღინიშნა შემუშავებულ დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დგინდება, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი კიდევ ერთხელ წარიმართა დაწესებულებაში. კერძოდ, წარმოდგენილია:

- მათემატიკის მასწავლებლის განცხადება, რომლითაც მიმართავს სკოლის დირექტორს, აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდის მანძილზე შეიცვალა განათლების პოლიტიკის რამდენიმე დოკუმენტი და შესაძლოა, სკოლის დოკუმენტებში იყოს ხარვეზები, მიმართავს დირექტორს თხოვნით, დაიწყოს ქმედება არსებული დოკუმენტაციის შეფასების კუთხით და ხარვეზის შემთხვევაში გამოსწორდეს ნაკლოვანებები;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ნოემბრის №2-38/ა ბრძანება, რომლითაც ცვლილება შევიდა დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-13 ბრძანებაში და განახლდა სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. კერძოდ, დამატებით, ჯგუფის წევრებად განისაზღვრნენ მშობელი, წარმომადგენელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან და თემის წარმომადგენელი. ამასთან, ბრძანებით არ იდენტიფიცირდებიან კონკრეტული პირები (სახელი, გვარი);
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 1-ელი დეკემბრის ოქმი №1. სამუშაო ჯგუფმა დაადგინა, რომ შემუშავებული პროექტი განსახილველად უნდა წარედგინოს სასკოლო საზოგადოებას პირისპირ შეხვედრებითა და ციფრული არხებით, მათი უკუკავშირის საფუძველზე მოწონებული მისია, ხედვა და ღირებულებები უნდა წარედგინოს დირექტორს გამოსაქვეყნებლად;
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 2 დეკემბრის სხდომის ოქმი №2. სამუშაო ჯგუფმა დაადგინა, რომ პროექტები მოწონებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დამატებით, დასკვნის პროექტში აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა: დაწესებულებამ შეასწოროს სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-13 ბრძანებაში დაშვებული შემდეგი ტექნიკური უზუსტობები:

- განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და შესასრულებელი სამუშაო (სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ მე-7 თავის 1-ელი პუნქტის შესაბამისად);
- დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას მიუთითოს კონკრეტული პირი ან თანამდებობა იმ სახით, რომ იდენტიფიცირდებოდეს კონკრეტული ადამიანი. არ არის სასურველი, ჯგუფის წევრად განსაზღვრული იყოს „საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის წევრი“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ნოემბრის №2-38/ა ბრძანება, რომლითაც ცვლილება შეიტანა ზემოთ ხსენებულ ბრძანებაში, დაამატა ჯგუფის წევრები (მოსწავლე, მშობელი, თემის წარმომადგენელი. სხვა საკითხების გათვალისწინება არ მომხდარა. ამასთან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი აღარ მოიცავს მე-7 თავს, რომელიც არეგულირებდა აღნიშნულ საკითხს (აღნიშნული შესაძლოა, აიხსნას იმ ფაქტით, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი არასრულია, სკანირებულია გვერდების გამოტოვებით).

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა: დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ნოემბრის №2-38/ა ბრძანებაში შემდეგი ტექნიკური უზუსტობის გასწორება:

- დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას მიუთითოს კონკრეტული პირი ან თანამდებობა იმ სახით, რომ იდენტიფიცირდებოდეს კონკრეტული ადამიანი. არ არის სასურველი, ჯგუფის წევრად განსაზღვრული იყოს ზოგადად „მოსწავლე“, „მშობელი“, „თემის წარმომადგენელი“, „საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის წევრი“, ამასთან, ასეთივე მიდგომით იხელმძღვანელოს სამუშაო ჯგუფის ოქმების წარმოებისას და ნაცვლად ზოგადი ჩანაწერისა (სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეები, მშობლები) კონკრეტულად მიუთითოს ვინ ესწრებოდა სხდომას.

მთლიანობაში, დამატებით შემუშავებული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. როგორც ზემოთ აღინიშნა, მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 15 სექტემბრით დათარიღებული აქტი, რომელშიც ფიქსირდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები გაეცნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, მოწონებულია მათ მიერ და სურვილი აქვთ, დირექტორმა დაამტკიცოს დოკუმენტი. აქტს ხელს აწერენ სკოლის მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. ასევე, დამატებით წარმოდგენილია სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის სხდომის ოქმი (2025 წლის 15 სექტემბერი), რომელშიც აღნიშნულია, რომ დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წევრებთან სტრატეგიული (მასში ასახულია მისია, ხედვა და ღირებულებები) და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა უკუკავშირის მიღების მიზნით. სხდომას ესწრებოდა 25 პირი, მათ შორის, დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლამ კიდევ ერთხელ განიხილა პროექტები სასკოლო საზოგადოების წევრებთან და მოწონებულია მათ მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის გვერდზე (skolebi.emis.ge), ასევე, განთავსებულია სკოლის ცენტრალურ შესასვლელში საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება - „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა“ შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა) და საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N 448 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანება „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის №2-13 ბრძანება „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“;
- მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების მიერ ხელმოწერილი, 2025 წლის 2 სექტემბრის აქტი (სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტების პროექტის გაცნობის შესახებ);
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის სხდომის ოქმი №1 (2025 წლის 2 სექტემბერი);
- სკოლის გვერდი ვებგვერდზე: skolebi.emis.ge;
- მათემატიკის მასწავლებლის განცხადება სკოლის დოკუმენტაციის ცვლილების საჭიროების შესახებ;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ნოემბრის №2-38/ა ბრძანება (სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის ახალი სახით დამტკიცების შესახებ);
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 1-ელი დეკემბრის ოქმი №1;
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 2 დეკემბრის სხდომის ოქმი №2.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული პირების (სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლეები, მშობლები, სამეურვეო საბჭო, თემი) შესახებ (თავი 4, თავი 7). სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გამოსაყენებელი ძირითადი მიდგომები ითვალისწინებს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს (თავი 5). განსაზღვრულია ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები და არხები: ელექტრონული ფოსტა/ღია შეხვედრები/საჯარო განხილვა ან/და პედსაბჭოს სხდომა ან/და სამეურვეო საბჭოს სხდომა, სოციალური მედია, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა და ა.შ. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა (თავი 7), კერძოდ, სამუშაო ჯგუფში უნდა შედიოდნენ: სკოლის დირექცია, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის კათედრების

წარმომადგენლები, მოსწავლეები და მშობლები. მეთოდოლოგიური დოკუმენტი, პროცესის შესაბამისად დაგეგმვის შემთხვევაში, იძლევა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული უნდა უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფში დაინტერესებული მხარეების უშუალო ჩართულობამ, დოკუმენტების პროექტების უფრო ფართო საზოგადოებასთან გაზიარებამ და მათმა უკუკავშირმა. ამასთან, ამავე დოკუმენტში ვიზიტის ფარგლებში ფიქსირდებოდა შემდეგი შეუსაბამობა: დოკუმენტის მე-8 თავის მე-15 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი, რაც არ იყო შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების პირობებთან“. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სკოლის დირექტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სკოლის სამეურვეო საბჭოს.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ვიზიტის ფარგლებში სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, ორ კვირის ვადაში დაინიცირებული იყო მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვის აუცილებლობა, შექმნილია შესაბამისი პასუხისმგებელი ჯგუფი, შემუშავებულია განახლებული მისია, ხედვა, ღირებულებები, ამავე ვადაში მოხდა დაინტერესებულ მხარეებთან შემუშავებული დოკუმენტების პროექტების გაზიარებაც და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაც.

დადგინდა სტანდარტის ინდიკატორთან დაწესებულების შეუსაბამობა, რის შესახებაც აღინიშნა დასკვნის პროექტში.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელშიც შეტანილია კორექტირებები, თუმცა, დოკუმენტზე აღნიშნული დამტკიცების თარიღი და ნომერი უცვლელია (დამტკიცებულია სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანებით). შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ტექნიკურ უზუსტობასაც, თუმცა, რადგან შესაბამისი ბრძანება წარმოდგენილი არ არის, ექსპერტთა ჯგუფი ვერ ადასტურებს დოკუმენტის განახლებული სახით დამტკიცების ფაქტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ იცვლება.

მეთოდოლოგიურ დოკუმენტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს ასევე აქვს რჩევა:

- დოკუმენტით განისაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის სრული ციკლის წარსამართად რეკომენდირებული მინიმალური ვადა და პროცესს დაწესებულებამ დაუთმოს გონივრული დრო. კერძოდ, პროცესი მოიცავს (თავი 9, თავი 10): სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავებას; პროექტების გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის და თემისთვის

(შესაძლებელია სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენაც); მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინებას; მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირებას; შემუშავებული განაცხადების წარდგენას დირექტორისათვის და მასთან შეთანხმების საფუძველზე ვებგვერდზე გამოქვეყნებას. მომდევნო ეტაპზე: სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტის შემუშავებას; პროექტების გაზიარებას; მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირებას და დამტკიცებას.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია შემდეგი: დაწესებულებას ავტორიზაციის პროცესში არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, ასევე, ჩამოყალიბებული არ იყო პროცესზე პასუხისმგებელი ჯგუფი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში შემუშავდა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. ინდიკატორთან მიმიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: დაწესებულებამ არ განაგრძო ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულება, არამედ 2025 წლის სექტემბრის თვეში (2-15 სექტემბერი) შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნულის საფუძვლად წარმოდგენილია სკოლის მათემატიკის მასწავლებლის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბოლო პერიოდში შეიცვალა განათლების პოლიტიკის არაერთი დოკუმენტი და გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაცვლელი იქნება სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტაცია. განცხადება მოიცავს თხოვნას, სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფს დაევალოს არსებული დოკუმენტების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, ახალი დოკუმენტაციის პროექტების შექმნა სასკოლო საზოგადოების წინაშე წარდგენისათვის. შედეგად, სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-13 ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადება. შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის №2-28/ა ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ციკლურობის შესაფასებლად, საჭიროა დაგეგმილი პერიოდის სრული ციკლის გავლა, შესაბამისად, წარმოდგენილ ეტაპზე, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებს სტრატეგიული განვითარების გეგმის ციკლურობას. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, გეგმით განსაზღვრულია შვიდი სტრატეგიული მიზანი: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო

საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ ამავე დოკუმენტში რელევანტურად იყო განსაზღვრული მიზნების შესაბამისი ამოცანები.

ვიზიტის ფარგლებში სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, სკოლის დირექტორის უფლებამოსილება შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის წარდგენით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები“, მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტი).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის პროექტის მიხედვით, სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც შეუსაბამო (დადგენილი ხარვეზი: სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული არ არის შემდეგი პროცედურის დაცვით: სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას).

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტაცია. კერძოდ, წარმოდგენილია სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 2025 წლის 29 დეკემბრის №8 ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა წარდგენილია საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. შესაბამისად, ამ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფი არ ადგენს ხარვეზს.
ამასთან, განახლებული სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში ასახულია რამდენიმე დამატებითი ამოცანა. კერძოდ, ვიზიტის ფარგლებში მოწოდებულ დოკუმენტში: პირველი სტრატეგიული მიზანი - <u>სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება,</u> სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, მოიცავდა სამ ამოცანას, განალხებულ დოკუმენტში დაემატა მეოთხე ამოცანა - <u>სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა;</u>
ასევე, მესამე სტრატეგიული მიზანი - <u>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება,</u> მოიცავდა სამ ამოცანას, ხოლო ახალი დოკუმენტი დამატებით მოიცავს მეოთხეს - <u>ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.</u>
ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტრატეგიული მიზანი და მის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანები მითითებულ შემთხვევაში შინაარსობრივად ემთხვევა ერთმანეთს.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფს აქვს რჩევა:
სკოლამ, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად, უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანა და მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში შეიმუშაოს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავების გამოცდილება: 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში შემუშავებული ჰქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი იყო სკოლის პრიორიტეტები, ამასთან, ავტორიზაციის პროცესში სკოლას არ ჰქონდა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლის სტრატეგიული გეგმაზე იქნებოდა დაფუძნებული. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და 05.08.2023-18.10.2023 პერიოდში შეიმუშავა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ არ იყო მკაფიო კავშირი სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმას შორის და ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ გამოჩენილიყო გრძელვადიან სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან კავშირი.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ემთხვევა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ შვიდ მიზანს. რაც შეეხება ამოცანებს, ვიზიტის ფარგლებში განსხვავება იყო სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ ამოცანებსა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს შორის. კერძოდ, პირველი სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, მოიცავდა სამ ამოცანას, ხოლო სამოქმედო გეგმით, დამატებით მეოთხე ამოცანას, შესაბამისი აქტივობებით (სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა); ასევე, მესამე სტრატეგიული მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, მოიცავდა სამ ამოცანას, ხოლო სამოქმედო გეგმა დამატებით მეოთხეს, შესაბამისი აქტივობებით (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება). მეექსვსე სტრატეგიული მიზანი - მოსწავლეთა მხარდაჭერა, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით მოიცავდა სამ ამოცანას, თითოეულთან მიმართებით მუშაობა დაგეგმილი იყო ყოველწლიურად, ხოლო სამოქმედო გეგმა მოიცავდა მათგან მხოლოდ ორს და გამოტოვებული იყო ამოცანა „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“.
სამოქმედო გეგმა, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ აღნიშნული წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, სკოლის დირექტორის უფლებამოსილება შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სამოქმედო გეგმის წარდგენით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები“,

მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტი). ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან განისაზღვრა, რომ სტანდარტის ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული (დადგენილი ხარვეზები: სკოლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებული არ არის შემდეგი პროცედურის დაცვით: სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას; შეუსაბამობები ფიქსირდება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს შორის).

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლის მიხედვითაც, სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტრატეგიულ მიზანს, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, დაემატა მის შესასრულებლად ამოცანა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა; სტრატეგიული მიზანს - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას დაემატა ამოცანა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. შესაბამისად, ამ ნაწილში სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები დაემთხვა სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ამ შემთხვევებში სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შინაარსობრივად იდენტურია (ვრცლად იხ. 1.2.1(2) ინდიკატორში ზემოთ). მეექვსე სტრატეგიული მიზანი - მოსწავლეთა მხარდაჭერა, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით კვლავ მოიცავს სამ ამოცანას, თითოეულთან მიმართებით მუშაობა დაგეგმილია ყოველწლიურად, ხოლო სამოქმედო გეგმა მოიცავს მათგან მხოლოდ ორს და გამოტოვებულია ამოცანა „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ავტორიზაციის პროცესში შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არ ჩანდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურად შეფასდებოდა. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სტანდარტის ინდიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:
დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების ინდიკატორების, შესრულების ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და რესურსების შესახებ. შესრულების რეალისტურობის შესაფასებლად, წარმოდგენილი ინდიკატორები საჭიროა, გახდეს მეტად გაზომვადი. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ინდიკატორების ჩამოყალიბებისას დაწესებულება ფოკუსირდეს მისაღწევ

შედეგზე და არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების წყაროზე (მაგ. ოქმი, ანგარიში), ინდიკატორების ჩამოყალიბებისას აღწეროს შესაბამისი მიმართულებით მისაღწევი სასურველი შედეგები.

სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანება „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის №2-13 ბრძანება „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ“;
- მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების მიერ ხელმოწერილი, 2025 წლის 2 სექტემბრის აქტი (სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტების პროექტის გაცნობის შესახებ);
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის სხდომის ოქმი №1(2025 წლის 2 სექტემბერი);
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის №2-28/ა ბრძანება „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის 2025-2032 წწ. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 2025 წლის 29 დეკემბრის ოქმი №8;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის 2025 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დამტკიცებული 2025-2032 წწ. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ გარემოებაზე: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად არ იყო გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 05.08.2023- 18.10.2023 პერიოდში განხორციელდა სკოლის შვიდწლიანი სტარტეგიული განვითარების გეგმის შემუშავება, მასში მოცემული იყო ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზეც. სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული დაგეგმარების დამოუკიდებელი მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავდა მონიტორინგის და შეფასების მკაფიოდ გაწერილ მექანიზმებს. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, სკოლას შეემუშავებინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (სასურველია, დამოუკიდებელი სახით), რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა რეკომენდაციის შესრულება. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოდგინა სკოლის დირექტორის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებსაც. კერძოდ, დოკუმენტის მე-12 თავი აღწერდა, რომ სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივნისში და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგიც, უნდა განხორციელდეს დაგეგმილი პერიოდის მანძილზე ორჯერ, შუალედურად და ბოლოს. ამასთან, დოკუმენტში ორ ალტერნატივად იყო ინფორმაცია წარმოდგენილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შესახებ, რაც გარკვეულწილად ბუნდოვანი იყო. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, რის შესახებაც აღიწერა დასკვნის პროექტში.
ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რჩევა: დაწესებულებამ გადახედოს დოკუმენტს და არ განსაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების ორი ალტერნატიული გზა, არამედ დაადგინოს მკაფიო წესი, რომლითაც იხელმძღვანელებს მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის პირველ გვერდზე მითითებული დოკუმენტის დამტკიცების რეკვიზიტები არის კვლავ სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანება. განახლებული დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება (დოკუმენტში ცვლილების შეტანის/ახლის დამტკიცების) წარმოდგენილი არ არის, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი ვერ ადასტურებს მეთდოლოგიური დოკუმენტის განახლებული სახით დამტკიცების ფაქტს. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტი საერთოდ აღარ მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ ინფორმაციას (შესაძლოა, ადგილი აქვს ტექნიკურ უზუსტობასაც, რადგან დოკუმენტის გვერდები თანმიმდევრულად არ მიჰყვება ერთმანეთს) და არც სხვა წესი/რეგულაციაა დამატებით წარმოდგენილი, რითაც დადასტურდება, რომ დაწესებულებამ მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით შეიმუშავა.
შესაბამისად, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. ამასთან, ვინაიდან აღარ არის ინფორმაცია წარმოდგენილი მონიტორინგის პროცესში გამოსაყენებელი ალტერნატიული მიდგომების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას აღარ აძლევს რჩევას, შეარჩიოს რომელიმე მათგანი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ავტორიზაციის პროცესში სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, სადაც სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირიც იქნებოდა გათვალისწინებული. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ასევე მოიცავდა ინფორმაციას გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შესახებ. სტანდარტის ინდიკატორი, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება პირველად გადიოდა ავტორიზაციას და შემოწმებას ექვემდებარებოდა მხოლოდ მეთოდოლოგიური ნაწილი, ჩაითვალა დაკმაყოფილებულად, ამასთან, დაწესებულებამ მიიღო რჩევა ექსპერტებისაგან, მეთოდოლოგიაში დეტალურად გაეწერა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ფორმები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა, რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულება მონიტორინგისა და შეფასების პროცესს პრაქტიკაში, მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული წესით. დაწესებულების მხრიდან ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელშიც ასახულია ინფორმაცია წლის მანძილზე შესრულებული აქტივობების შესახებ. პროცესში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებასთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. მონიტორინგი განხორციელებულია უფრო ადრე, ვიდრე

დამტკიცდებოდა „სსსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტი (2025 წლის 2 სექტემბერი). დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია, დაწესებულებამ მეთოდოლოგიით განსაზღვროს და პრაქტიკაში გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ფორმები. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად, რის შესახებაც აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის პირველ გვერდზე მითითებული დოკუმენტის დამტკიცების რეკვიზიტები არის კვლავ სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანება. განახლებული დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება წარმოდგენილი არ არის, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი ვერ ადასტურებს მეთდოლოგიური დოკუმენტის განახლებული სახით დამტკიცების ფაქტს. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტი აღარ მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურის შესახებ ინფორმაციას.
დადგენილი ხარვეზი: სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ განსაზღვრული არ არის სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტით და ასევე არ არის აღნიშნული მიდგომა გამოყენებული სკოლის პრაქტიკაში.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

3. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გასაჯაროების სავალდებულოობას. Skolebi.emis.ge-ზე, სკოლის გვერდზე მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განთავსებული იყო 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი არ ყოფილა და ვებგვერდზეც განთავსებული არ იყო, რის გამოც დასკვნის პროექტში აღინიშნა ხარვეზი. სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასების პერიოდი ჯერ არ არის დამდგარი, შესაბამისად, ამ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეაფასა დაწესებულება.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, ასევე, skolebi.emis.ge-ს გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლამ ვებგვერდზე განათავსა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. შენიშვნა: დამატებით წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიც რაც გაურკვევლობას იწვევს. შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობასაც.

მოწოდებული დამატებითი დოკუმენტების და ვებგვერდის (skolebi.emis.ge) გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის შეფასება შეიცვალა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. ავტორიზაციის პროცესში სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული და მის შესაბამისად შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეეფასებინა მათი შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადიოდა ავტორიზაციას და ფასდებოდა მხოლოდ მეთოდოლოგიური ნაწილი, სტანდარტთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა, როგორც მოთხოვნასთან შესაბამისი.
მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ახალი, 2025 წლის სექტემბერში დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ამასთან, წარმოდგენილი არ იყო 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა შეფასება, რამდენად გამოიყენება სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები სკოლის შემდგომ განვითარებაში. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-205 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელშიც ნაკლებად ინფორმატიულია, ამასთან, 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში არ არის დაფიქსირებული შეუსრულებელი აქტივობა ან/და ისეთი გარემოება, რომლის ასახვაც დამატებით იქნებოდა მიზანშეწონილი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაკორექტირდა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მითითებული შეფასება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 სექტემბრის №2-12 ბრძანება „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის 2023-2024, 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;

- Skolebi.emis.ge-ზე სკოლის გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, საბაზო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საჯარო სკოლებისათვის განსაზღვრული წესით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის განსაზღვრული. სამუშაო ამოცანები, რაც გათვალისწინებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების (სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საქმისმწარმოებელი, ექთანი და ა.შ.) ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ორგანოგრამა;
- სსიპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სტრუქტურული კოლეგიური ორგანოების მუშაობის ოქმები;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის პერსონალის შესახებ ინფორმაცია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის №2-17 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესში ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების გამოყენების აუცილებლობას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრულია მხოლოდ მასწავლებლების შემთხვევაში დეტალურად, ხოლო სხვა შემთხვევებისათვის არ არის მკაფიო. დაწესებულების შინაგანაწესით, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კადრების შერჩევის მიზნით გამოცხადებული საკონკურსო დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება პერსონალის შერჩევის პროცესში ხელმძღვანელობს საკანონმდებლო მოთხოვნების და საკუთარი რეგულაციების შესაბამისად. დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც შეუსაბამობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2027 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების პირობებთან“, რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალის მართვის პოლიტიკა სკოლის დირექტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სკოლის სამეურვეო საბჭოს. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული და დადგინდა ხარვეზი: სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არ არის დამტკიცებული შემდეგი პროცედურის დაცვით: სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა შინაარსობრივად განახლებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის ოქმი №8, რომლითაც დასტურდება, რომ დოკუმენტი წარედგინა სამეურვეო საბჭოს და დამტკიცებულია ამავე სხდომაზე.

სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია, იმ გარემოებაზე, რომ სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლა მაღალმთიან ტერიტორიაზე მდებარეობს და ამასთანავე მცირე კონტიგენტიანია, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ფუნქციები დირექტორის არყოფნის დროს შეთავსებული აქვს ერთ-ერთ მასწავლებელს, ბიბლიოთეკარის ფუნქციები იმის გათვალისიწნებით, რომ სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, ასევე შეთავსებული აქვს ერთ-ერთ მასწავლებელს. სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში არსებული ვაკანსია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე, საგნობრივი კათედრის ან კვალიფიკაციის გათვალისწინებით. როცა შიდა კონკურსი ვერ უზრუნველყოფს საკადრო დეფიციტის შევსებას, ცხადდება ღია კონკურსი.

სკოლა მცირეკონტინგენტიანია (მოსწავლეთა ამჟამინდელი კონტინგენტი შეადგენს სულ 11 მოსწავლეს) და ზღვრული ადამიანური რესურსი აქვს.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწეროს, როგორ ახდენს არსებული რესურსის პირობებში პრაქტიკაში სასწავლო პროცესის უწყვეტობას.
სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში დღეისათვის შემუშავებულია და სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის №2-15 ბრძანებით დამტკიცებულია „დებულება სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“, რომლითაც განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები ისეთი პოზიციებისათვის, რომელიც გათვალისწინებული არ არის სკოლის საშტატო განრიგით და რომლის შესაბამისი თანამშრომლებიც სკოლას არ ჰყავს. კერძოდ: დირექტორის მოადგილე/მოადგილეები, ფსიქოლოგი, ექიმი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ადმინისტრატორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულების პერსონალის პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები: ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ დამატებით, ერთ თანამშრომელთან დაკავშირებით წარმოადგინა სამივე ცნობა და ასევე, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ერთი თანამშრომლის, პირადი განცხადების საფუძველზე, განთავისუფლების ბრძანება (N1/კ-26, 19/12/2025), რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა.
ამასთან, განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულებასა და სკოლის საშტატო განრიგს შორის არსებულ ცვლილებებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია, ინდიკატორის შეფასება არ შეიცვალა.
სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის №2-15 ბრძანებით დამტკიცებული დებულება სკოლაში დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ, ასევე საშტატო განრიგი და e-school ბაზის მიხედვით სკოლაში დასაქმებული პერსონალის შესახებ მონაცემები, პერსონალის პირადი საქმეები. როგორც ზემოთ აღინიშნა, დოკუმენტებს შორის არის სხვაობა, კერძოდ, სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ზოგიერთი პოზიცია არ ემთხვევა საშტატო განრიგს და პირიქით. ამასთან,

იმ თანამშრომლების შემთხვევებში, რომლებიც ფაქტობრივად არიან დასაქმებულები, დასტურდება, რომ აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, რომლებიც ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებული პირების წახალისების ფორმებს. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დირექტორი ცდილობს წაახალისოს თანამშრომლები სამუშაოს კარგად შესრულებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის 2025 წლის 3 სექტემბრის №2-15 ბრძანებით დამტკიცებული „ დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“
- სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- E-school ბაზის მონაცემები;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი (დამტკიცებულია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ, 2025 წლის 29 დეკემბერი ოქმი N-8).

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის №2-27/ა ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლაში ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების წესი“, რომელიც განსაზღვრავს კრიტერიუმებს (სამუშაო მოვალეობების ჩამონათვალს), რა შემთხვევაში შეფასდება თანამშრომლის საქმიანობა დადებითად. ამასთან, დოკუმენტი არ განსაზღვრავს პროცედურას, პერიოდულობას, შეფასებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს. მეორე მხრივ, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი რომელიც წარმოდგენილი იყო მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ფარგლებში ასევე ითვალისწინებდა თანამშრომელთა სამუშაოს შეფასების საკითხებს. შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მიდგომები განსაზღვრული იყო მაგალითების სახით და არ იყო დაზუსტებული, კონკრეტულად რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო გამოყენებული თანამშრომლების შეფასების პროცესში. სტანდარტის ინდიკატორი არ იყო დაკმაყოფილებული, რის შესახებაც აღინიშნა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №8 ოქმი და ამავე სხდომაზე დამტკიცებული, შეცვლილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც გარკვეულწილად დაზუსტებულია რიგი საკითხები. კერძოდ,

დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება სისტემატიურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, შეფასების შედეგების საფუძველზე კი გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესებს. შეფასების მეთოდებად განსაზღვრულია: 1. მართვა მიზნების მიხედვით, შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება, კრიტიკული შემთხვევები, სამუშაო სტანდარტები. შეფასების ეტაპებია: დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება, საბოლოო შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლას გასული წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა პერსონალის დადგენილი საჭიროებების გათვალისწინებით ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა, ტრენინგ-სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა. დადასტურდა, რომ პედაგოგები მონაწილეობას იღებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებში. დადგენილი საჭიროებების გათვალისწინებით მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგ კურსებს; საჭიროებიდან გამომდინარე სკოლამ გადამზადებაში ხელი შეუწყო სკოლის ბუღალტერსაც. ავტორიზაციის პროცესში ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა, როგორც შესაბამისი.
მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილია ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომ თანამშრომლებს ჰქონდათ ტრენინგების გავლის შესაძლებლობა. ამასთან, სკოლას არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი მის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციაც. **სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

3. დაწესებულებას ჰყავს 12 უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელი. დასტურდება, რომ მასწავლებელთა კარიერული ზრდის ხელშესაწყობად სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ხელშეწყობას კარიერული განვითარების ღონისძიებების (ტრენინგები, ვორქშოფები) მეშვეობით. კერძოდ, წარმოდგენილია სატრენინგო მომსახურების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი. ინტერვიუს დროსაც სკოლის პერსონალი აღნიშნავს, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ გაევლოთ ტრენინგები სასწავლო პროცესთან და შეფასებასთან დაკავშირებულ მათთვის აქტუალურ საკითხებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხი დარეგულირებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებად განსაზღვრულია: მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი

და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.
ახალ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შინაგანაწესის პირობები ხელშეკრულების ნაწილია. როგორც დირექციასთან და პერსონალთან გასაუბრებით ირკვევა, ახლადდასაქმებულ პედაგოგს სკოლაში ხვდება პოზიტიური გარემო, აცნობენ სკოლის ისტორიას, თემს, ორგანიზაციულ კულტურას; ხდება სკოლის შენობის და ტერიტორიის დათვალიერება, გამოცდილების გაზიარება. სკოლა გეგმავს შექმნას თანამშრომლის ინტეგრაციის მარეგულირებელი დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ გუნდი მოტივირებულია, ჩაერთონ განმავითარებელ ღონისძიებებში. კონკრეტული მაგალითის სახით ასახელებენ ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ინიციატიივას, როდესაც შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, მათი სურვილით, სკოლამ უზრუნველყო ტრენერის მოწვევა. ვიზიტის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებების მოწყობას (ტრენინგ-მომსახურების შესყიდვა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ერთწლიანი (2025-2026) სამოქმედო გეგმა;
- პედაგოგთა მიერ ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო შინაგანაწესი;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის შეფასების წესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის №2-18 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, ასევე, განსაზღვრულია თითოეული პროცესის დეტალურად აღწერის აუცილებლობა, განსაზღვრულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შედგენა, პროცესების შეფასება, რეკომენდაციების წარმოდგენა, ამასთან, როგორც აღინიშნა, დოკუმენტი ახალი დამტკიცებულია და სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად განხორციელებული არ არის. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დადგინდა ხარვეზი, რაც აისახა დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (განახლებული დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-41 ბრძანებით). ამასთან, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი აფასებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა

პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და რამდენად ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის შეფასებას. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

2. მონიტირინგის პროცესში დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის №2-18 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელშიც განსაზღვრულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ამასთან, ამავე დოკუმენტით დარეგულირებულია, როგორ უნდა აღიწეროს თითოეული მათგანი (მუხლი 5), რა ნაწილებს უნდა მოიცავდეს თითოეული მათგანი და მათი დამტკიცების, დაცვის და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში შეფასების აუცილებლობა. ამასთან, აღნიშნული პროცესების აღმწერები არ არის შემუშავებული და დამტკიცებული. დადგენდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სკოლამ დამატებით წარმოადგინა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (განახლებული დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-41 ბრძანებით), რომელის სკოლის სხვადასხვა პროცესთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად უკეთ ადგენს ჩარჩოს და ეტაპებს, თუმცა, ამავე დოკუმეტით ჩამოთვლილი/განსაზღვრული არ არის სკოლის მმართველობითი, ძირითადი, დამხმარე პროცესები და არ არის თითოეული მათგანი აღწერილი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

3. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის საკითხს სკოლაში არეგულირებს შინაგანაწესი. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოფს შინაგანაწესის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა დისციპლინური დევნა, დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესები. შესაბამისად, დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშბლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა.
ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ გაითვალისწინოს პროცესში არასრულწლოვნების მონაწილეობის სპეციფიკა და „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად, მეტად მოახდინოს პროცედურების ადაპტაცია ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის პერსონალთან და მშობლებთან / კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა აქტუალური საკითხები. გარდა ამისა სკოლაში არსებობს გადაწყვეტილებების გასაჩივრების და საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შემოსული განცხადებების/ საჩივრების რეგისტრაცია და მათზე რეაგირება ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. ინფორმაცია მოსწავლის ქცევის წესების შესახებ, ასევე, სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ვებგვერდზე (skolebi.emis.ge). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;
- სკოლასა და თანამშრომლებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ვებგვერდი: skolebi.emis.ge.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება მშობელთა კრებებზე, სკოლის ვებგვერდის მეშვეობით, ასევე, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება, უკუკავშირი და რეაგირება უზრუნველყოფილია მართვის კოლეგიურ ორგანოებში მათი ჩართულობით, რაც დასტურდება მუშაობის ამსახველი ოქმებით და აგრეთვე ინტერვიუებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში ფუნქცინოირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, ასევე, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სამუშაო ჯგუფებში ჩართულობა, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანოების სხდომის ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის პროცესში ინდიკატორთან მიმართებით დადგენილია ხარვეზი, რადგან არ იყო უზრუნველყოფილი სკოლის გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლი. სკოლა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, დამატებით, განსაზღვრულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, შესაბამისი სქესის მასწავლებელი. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისათვის სკოლას აქვს მეტალოდეტექტორი. ავტორიზაციის პროცესში დადგინდა ხარვეზი, რადგან დაცული არ იყო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის N101 დადგენილება „ავტომატური ფოტო-და ვიდეოტექნიკის მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟების“ შესახებ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი. დაწესებულებამ უზრუნველყო დამატებით 10 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერის

მონტაჟი და შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.
სკოლა განთავსებულია ახალშანებეულ შენობაში. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ადასტურებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის ბრძანება „ჭიათურა, სოფელ მეჩხურეთში 60 მოსწავლეზე გათვალისწინებული საჯარო სკოლის მშენებლობის ვარგისად აღიარების შესახებ“.
28.07.2023 წ. სკოლამ მიიღო სახანძრო უსაფრთოხების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N184, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე გარე სახანძრო სისტემის წყალმომარაგებისათვის საჭიროა 54 ტონიანი წყლის რეზერვუარის მონტაჟი ან სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების პროცესში გამოვლენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, სკოლამ უზრუნველყო მომსახურების შესყიდვა და გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად წყლის რეზერვუარის მონტაჟის სამუშაოების შესრულება. შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, შენობის პერიმეტრი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით.
სკოლაში გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ჰყავს ექთანი. სკოლაში ასევე დასაქმებულია 2 დარაჯი. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომლის ინვენტარი და აღჭურვილობა შეესაბამება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირობებს. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ამავე ბრძანებით განსაზღვრული წესით. მათ შორის, გადამოწმდა და დადასტურდა სპეციალური სააღრიცხვო ფორმებისა და ჟურნალების დადგენილი წესის მიხედვით წარმოება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არგამოცხადებული მოსწავლის იდენტიფიცირება და მოახდინოს მშობლის ინფორმირება. სკოლაში ბრძანებით არის განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება და აქვს სერთიფიკატი. უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სქესის პირი. უცხო პირთა გადაადგილება კონტროლდება მორიგე მასწავლებლების მიერ. სკოლა ფსიქოლოგიურ და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით გეგმავს და ახორციელებს სადამრიგებლო პროგრამას სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობებით: „პიროვნული, მორალური და სოციალური განვითარება, ბულინგი, ინტერნეტის სარგებელი და

საფრთხე, ვიყოთ აქტიურები, ტოლერანტები, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა“. სკოლაში განხორციელდა პროექტი ადამიანების უფლებებისა და კიბერბულინგის შესახებ, რომლის მიზანიც არის მოსწავლეთა ინფორმირება მათი უფლებების, ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მცირეკონტინგენტიანია და საშტატო განრიგით გათვალისწინებული არ არის ფსიქოლოგის შტატი. თუმცა სკოლის პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. აღნიშნულს ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეთა მცირე კონტინგენტი და სკოლაში შექმნილი დადებითი ატმოსფერო. ამასთან, სკოლის სადამრიგებლო პროგრამა მიმართულია სკოლის მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას ჰყავს დამლაგებელი. შესყიდული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად საჭირო ინვენტარი. სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეთა განათლებას ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებული სადეზინფექციო ხსნარები, შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერი. სკოლის შენობაში განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის, აგრეთვე ქალბატონებისა და მამაკაცებისათვის, არის ადაპტირებული სველი წერტილიც. სველი წერტილები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სასმელი წყალი სკოლას მოეწოდება რეზერვუარით, რომელიც მარაგდება ადგილობრივი წყლით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლა უზრუნველყოფილია უკაბელო Wi-Fi-ით. სკოლაში არსებულ კომპიუტერებზე გამოიყენება ლიცენზირებული პროგრამები. გამოყოფილი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც თვალყურს ადევნებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წლის განმავლობაში კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე,

რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პედაგოგთა სადამრიგებლო პროგრამები

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სსიპ - საგანგებო სიტუაციების სამსახურისაგან მიღებული წერილობითი თანხმობა;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის საშტატო განრიგი
- ექთნის ხელშეკრულება
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება უსაფრთხოების კამერების დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წყლის რეზერვუარის მოწყობის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის №51849 ბრძანება
- https://pdps.ge/ka/content/1012/6752/ssip-WiaTuris-municipalitetis-sofel-meCxeTuris%C2%A0-sajaro-skola

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა აშენებულია 2021 წელს. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 31 მარტის ბრძანებით „ჭიათურა, სოფელ მეჩხურეთში 60 მოსწავლეზე გათვალისწინებული საჯარო სკოლის მშენებლობის ვარგისად აღიარების შესახებ“, სკოლა გათვლილია 60 მოსწავლეზე. მიწის საკადასტრო კოდია N38.14.42.008. მიწის ფართობია 3000 კვ.მ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებულია 27/07/2021 წელს. შენობის ფართობი არის 591.00 კვ.მ . სკოლა არის ერთსართულიანი საკლასო ოთახების რაოდენობა არის 9, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ჩათვლით. ამჟამად, კლასები განთავსებული არის 7 ოთახში (I-III, II-IV კლასები გაერთანებული არის კლას-კომპლექტებში. ერთი საკლასო ოთახი რეზერვშია. სკოლას აქვს სამასწავლებლო (განთავსებულია დირექცია და პედაგოგები). სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ავტორიზაციის პროცესში სკოლას არ ჰქონდა რესურს ოთახი, თუმცა, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისათვის უზრუნველყო ბიბლიოთეკის სივრცის ტიხრებით გამიჯვნა და რესურსოთახის მოწყობა. შენობაში განთავსებული არის გოგონების და ვაჟების საპირფარეშოები (თითოეული ორი კაბინით და ხელსაბანით), ადაპტირებული სველი წერტილი, ასევე დამოუკიდებელი სველი წერტილები ქალი და მამაკაცი პედაგოგებისათვის (თითო უნიტაზით და ხელსაბანით).

კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ავტორიზაციის პროცესში ერთ ოთახში იყო განთავსებული. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სივრცეები უკვე გამიჯნულია ტიხრით. შენობაში არის ექიმის კაბინეტი, რომელიც კეთილმოწყობილია, აღჭურვილია ხელსაბანით და საჭირო ინვენტარით, გამოყოფილია სივრცე ფარდით, პაციენტის მისაღებად. სკოლაში არის ბუფეტისათვის განკუთვნილი ოთახი. დერეფნების ბოლოში განთავსებულია დამატებითი საევაკუაციო გასასვლელები. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, მაგრამ სკოლის ეზოში განთავსებულია

კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. სკოლის ეზოში ასევე განთავსებულია საქვაბე და გენერატორი, რომელიც ელექტროენერგიის არქონის შემთხვევაში სკოლის მომარაგებას უზრუნველყოფს.
ინვენტარიზაციის დოკუმენტით, სკოლაში მერხების რაოდენობა სკოლაში შეადგენს 88-ს ; კომპიუტერული ტექნიკა - 22 ერთეულია, მათ შორის, 9 განთავსებულია ისტ-ის კაბინეტში, 3 დირექციისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი, 3 სამასწავლებლოშია განთავსებული, ერთის მეშვეობით კონტროლდება შიდა და გარე პერიმეტრი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით. დანარჩენები გადაცემული აქვთ მასწავლებლებს დროებით მფლობელობაში, საგანმანათლებლო მიზნით. სკოლაში არის 8 ცალი პროექტორი, 4 ცალი პრინტერი. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის სათანადო აღჭურვილობა, ამასთან, წარმოდგენილი იყო გარკვეული სახის მოდელები. ავტორირზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, დაწესებულებას დამატებით უზრუნველეყო ლაბორატორიის აღჭურვილობის შეძენა. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ლაბორატორიის აღჭურვილობის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ლაბორატორიის აღჭურვილობა მოიცავს 188 ერთეულს. სკოლის ბალანსზე არის ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, რომელიც დაწესებულების ეზოშია განთავსებული, აღჭურვილია ფეხბურთის კარებითა და კალათბურთის ფარებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. აღსანიშნავია, რომ სკოლა მცირეკონტინგენტია, დღეისათვის მასში ირიცხება სულ 11 მოსწავლე, შესაბამისად, რესურსების ხელმისაწვდომობის პრობლემა არ დგას და სურვილის შემთხვევაში, ბიბლიოთეკით, სპორტული მოედნით, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა თავისუფლად შეუძლიათ სასკოლო საზოგადოების წევრებს, დადგენილია შესაბამისი შიდა რეგულაციაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღრიცხულია კატალოგში, მატერიალური სახით, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად: მინიჭებული აქვთ ნომერი და აღნიშნულია ბეჭდით. ინვენტარიზაციის მიხედვით, სკოლის ბალანსზე არის 31 ერთეული წიგნი (მხატვრული, სამეცნიერო); მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ დამატებით წარმოადგინა 152 ერთეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხატვრული და შემეცნებითი თემატიკა). სკოლა მცირეკონტინგენტიანია და საშტატო განრიგი არ ითვალისწინებს ბიბლიოთეკარის თანამდებობას, ამასთან, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მკითხველთათვის მომსახურების გაწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა ინდიკატორთან მიმართებით და დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ზრუნავენ, რომ რესურსები თანაბრად იყოს ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი. სკოლის მთავარ შემოსასვლელთან განთავსებულია პანდუსი. მოცემულ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ

მოსწავლეები. სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიცემული რჩევის საფუძველზე, სკოლამ უზრუნველყო რესურსოთახის მოწყობა, მიუხედავად სსსმ მოსწავლის არყოლისა. დამატებით, სკოლამ შეიმუშავა და მონიტორინგის პროცესში წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის №2-35 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ადგილზე ისარგებლონ სამკითხველო სივრცით, საჭიროების შესაბამისად, შეძლონ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება და ინტერნეტით სარგებლობა. სპორტული მოედანი კეთილმოწყობილია. სკოლაში არ არის სივრცე სააქტო დარბაზისათვის, ამიტომ შესასვლელ სივრცეს იყენებენ კულტურული ღონისძიებებისათვის. სოციო-კულტურული ურთიერთობებისათვის მოსწავლეები იკრიბებიან კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკლასო ოთახებში, სპორტულ მოედანზე და ა. შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის №51849 ბრძანება „ჭიათურა, სოფელ მეჩხურეთში 60 მოსწავლეზე გათვალისწინებული საჯარო სკოლის მშენებლობის ვარგისად აღიარების შესახებ“;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის აქტი და ინვენტარიზაციის ჩატარების შემდგომ პერიოდში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება.
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის, 2021 წლის 31 მარტის ბრძანება „ჭიათურა, სოფელ მეჩხურეთში 60 მოსწავლეზე
- გათვალისწინებული საჯარო სკოლის მშენებლობის ვარგისად აღიარების შესახებ“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კომპიუტერული ტექნიკა მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში 22 ერთეულია, მათ შორის, 9 განთავსებულია ისტ-ის კაბინეტში, 3 დირექციისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი, 3 სამასწავლებლოშია განთავსებული, ერთის მეშვეობით კონტროლდება შიდა და გარე პერიმეტრი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით. დანარჩენები გადაცემული აქვთ მასწავლებლებს დროებით მფლობელობაში, საგანმანათლებლო მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია მართვის პროცესში იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და ინფორმაციის გაცვლის ელექტრონულ სისტემებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში დანერგილია ელექტრონული ჟურნალი, რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის ინფორმაციის მიღების საშუალებას წარმოადგენს. კომპიუტერულ ლაბორატორიას პედაგოგები იყენებენ გაკვეთილების ჩასატარებლად, ასევე, სხვა მიმდინარე ამოცანების შესასრულებლად. მოსწავლეები იძიებენ საჭირო ინფორმაციას და ა. შ ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა და საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენების წესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ინვენტარიზაციის აქტი და ინვენტარიზაციის ჩატარების შემდგომ პერიოდში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- რეგულაცია „საზიარო სამუშაო სივრცეები სკოლაში".

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 სექტემბრის №2-27 ბრძანებით. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებული აქვს რჩევა, მოაწესრიგოს მატერიალურად წარმოებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, სკოლაში არ იყო შემოსული და გასული კორესპოდენციის მატერიალური რეგისტრაციის ჟურნალი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი გარკვეულწილად არეგულირებს საქმისწარმოების საკითხებს, განსაზღვრულია დოკუმენტაციის ტიპები, ჟურნალების წარმოების საკითხები, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, სკოლამ გადახედოს საქმისწარმოების წესს და მკაფიოდ განსაზღვროს, კონკრეტულად რომელი დოკუმენტაცია იწარმოება მატერიალურად და რომელი ელექტრონულად, რომელი სახის დოკუმენტებისთვის როგორ ხდება ნომრის მინიჭება, როგორ წარმოებს ისეთი დოკუმენტების აღრიცხვა, როგორიც არის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ოქმები, სხვადასხვა იურიდიულ/ფიზიკურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება Eflow და eSchool-ის პროგრამები, შემოსული და გასული დოკუმენტაცია წარმოებს ელექტრონულად. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის, მშობლისა და მასწავლებლისათვის შექმნილია ანგარიშები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დირექციას დროულად ახდენს Eschool-ის ბაზაში საჭირო ინფორმაციის განახლებას, გადამოწმდა მოსწავლის, მშობლების, პერსონალის შესახებ ასახული მონაცემები და დადასტურდა მათი შესაბამისობა ზოგადი განათლების მართვის სისტემის ადმინისტრირების წესებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს ანგარიშების, უკუკავშირის და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან თანამშრომლობის დროს. 10 დეკემბერამდე წარუდგენს ანგარიშს პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისათვის წარსადგენს ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 სექტემბრის სექტემბრის №2-27 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების წესი;
- Eschool-ის ბაზა, Eflow დოკუმენტბრუნვის სისტემა;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის 10 დეკემბრის ანგარიში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ვებგვერდის - skolebi.emis.ge მეშვეობით, ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა ცენტრალურ შესასვლელში, სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები, ეწყობა მშობელთა კრებები და ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლას აქვს სოციალური ქსელიც (facebook), ამრიგად უზრუნველყოფილია საზოგადოებასთან ინფორმაციის გაზიარება და კომუნიკაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გადამოწმდა skolebi.emis.ge-ზე, ასევე, სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია. განთავსებული ინფორმაცია სანდოა და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უკუკავშირს იღებს მშობელთა კრებების და სოციალური ქსელის საშუალებით, ასევე, წარმოდგენილია მშობლებთან საერთო კრებების/შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია, მშობელთა კრებებზე ხდება მოსწავლეთა მშობლების მოსაზრებების მოსმენა. სკოლის წარმომადგენლობა უკუკავშირის შედეგებს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს გვერდი skolebi.emis.ge ვებგვერდზე. სკოლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, სწავლება დაწესებულებაში ხორციელდება ასევე ქართულ ენაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ამასთან, აღწერილი არ არის სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ფინანსური მდგრადობის ანგარიშის ნაწილში კი წარმოდგენილია ფაილები, რომელიც გარკვევით არ იკითხება). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის და სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, თუმცა, ვებგვერდის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2025 წლის 12 იანვრის მდგომარეობით skolebi.emis.ge-ზე სკოლის გვერდზე აღნიშნული რეგულაცია განთავსებული არ არის, ისევე, როგორც არ არის აღწერილი სკოლაში ჩარიცხვის პროცედურები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) და ფინანსური მდგრადობის ანგარიშის ნაწილშიც დოკუმენტაცია კვლავ არ იკითხება. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი: skolebi.emis.ge
- მშობლებთან გამართული შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში facebook;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც ავტორიზაციის, ისე მონიტორინგის პროცესშიც დადასტურდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსი მიმართულია სამოქმედო გეგმის განხორციელებისკენ. სკოლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები ხოლო ხარჯების განსაზღვრისას განსაზღვრულია სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტები. ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, წარმოდგენილნი სამეურვეო საბჭოში. სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის კორექტირება. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სკოლას აქვს ნაშთი 83 000 ლარის ოდენობით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა ინდიკატორთან მიმართებით დადებითად არის შეფასებული ავტორიზაცის, ისე მონიტორინგის პროცესში. ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, თანხების განკარგვა ხდება ბიუჯეტის მიხედვით, რომელსაც მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ხდება სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. ყოველი წლის ბოლოს სკოლა სამეურვეო საბჭოს აბარებს ფინანსურ ანგარიშს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;

- სკოლის მიმდინარე ბიუჯეტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების შინაგანაწესში განსაზღვრულია მოსწავლეებთან დაკავშირებით დისციპლინური წარმოების წესი, წახალისების ფორმები და ა. შ. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია გასაჩივრების მექანიზმები. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც ძალადობის ყველა ფორმისაგან ბავშვის დაცვის მექანიზმს წარმოადგენს.

განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც ემსახურება მოსწავლის ინტერესების დაცვას და სასწავლო მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. მონიტორინგის პროცესში სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი (დამტკიცებულია სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 სექტემბრის №2-21 ბრძანებით), რომელშიც აღწერილია საქართველოს კანონმდებლობით და სკოლის შინაგანაწესით სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის გარანტირებული უფლებები, ასევე მათი დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა დადებითად შეფასდა წარმოდგენილ ინდიკატორთან დაკავშირებით როგორც ავტორიზაციის, ისე მონიტორინგის პროცესში. დადასტურდა, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის: სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და მისი საჯაროობა უზრუნველყოფილია, კერძოდ კი გამოქვეყნებულია დაწესებულების მთავარ შესასვლელში სტენდზე, ასევე გამოქვეყნებულია „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“ და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე ცხადი ხდება, რომ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში დამრიგებლის მოვალეობებს შორის განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. შინაგანაწესი ასევე განთავსებულია სკოლის გვერდზე skolebi.emis.ge-ზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში ირიცხება სულ 11 მოსწავლე. მონიტორინგის პროცესში გადამოწმდა მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დადასტურდა მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობა, განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობები, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სხვა პირობები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეებს ევალებათ სკოლის შინაგანაწესის დაცვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- ვებგვერდი: skolebi.emis.ge;

- „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- E-school ბაზის მონაცემები;
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 სექტემბრის №2-21 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 ოქტომბრის №2-31 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც მკაფიოა, მასში გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები. საკითხები ნაწილობრივ ასევე რეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურებს. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება. პირველ კლასში

მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად. მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლეულად ითვლება, თუკი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მისი ქულა არის 5 და მეტი. მოსწავლეთა მიერ შესაბამისი კლასის, დაწყებითი საფეხურის, საბაზო საფეხურის დაძლევის და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ საკითხი განიხილება პედსაბჭოს სხდომაზე. მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის დროს სკოლა ეყრდნობა არსებულ საკანონმდებლო მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მოსწავლის მშობლებს / კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს ინფორმაციას შინაგანაწესის შესახებ, რასაც ადასტურებს მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც. ასევე, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია თვალსაჩინოდ შენობის შესასვლელში და სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის ხელმისაწვდომია. სკოლა აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ. მოსწავლის მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის მოსაზრების გაგების მიზნით პერიოდულად ტარდება მშობელთა კრებები. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე skolebi.emis.ge. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. როგორც ავტორიზაციის, ისე მონიტორინგის პროცესში დადებითად შეფასდა სკოლა ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალეა; როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და სკოლის თვითშეფასებით იკვეთება, სკოლა ზრუნავს იმაზე, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და სწორი, არ შელახოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. სკოლის ხელმძღვანელობა სიახლეების გავრცელებისათვის იყენებს სკოლის შემოსასვლელში არსებულ საინფორმაციო დაფას. მოსწავლეებს სიახლეებს აცნობენ დამრიგებლები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 ოქტომბრის №2-31 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- Skolebi.emis.ge-ზე სკოლის გვერდი;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლას არ ჰქონდა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი შემუშავებული, რის საფუძველზეც დადგინდა ხარვეზი და სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეემუშავებინა ასეთი რეგულაცია. მონიტირინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლამ უზრუნველყო „მოსწავლეთა ადაპტაციის წესის“ (დამტკიცებულია

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის 2025 წლის №2-33 ბრძანებით) წარმოდგენა. დოკუმენტით დარეგულირებულია როგორც პირველკლასელი, ისე მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის ხელშემწყობი პირობები, ასევე, განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის ხელშეწყობის წესი, რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისათვის, ნიშნები, რომელიც საგანმანათლებლო პერსონალს არ უნდა დარჩეს მხედველობის მიღმა, დეადაპტაციის დროს გასატარებელი ღონისძიებები და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელშიც გათვალისწინებულია შესაბამისი მექანიზმები. როგორც სკოლის პერსონალთან და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია. ფიზიკური გარემო მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე (ინვენტარი, საკლასო ოთახები). კლასის დამრიგებელი ზრუნავს მშობლებსა და პედაგოგებს შორის კომუნიკაციაზე და მოსწავლის ადაპტაციაზე სკოლაში. სკოლა ერთსართულიანია, რაც შიდა და გარე სივრცეს მოსწავლეებისათვის იოლად გამოსაყენებელს ხდის და რესურსებზე წვდომას უიოლებს. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სადამრიგებლო პროგრამა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლეებს, ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით (ზოგიერთ შემთხვევაში 1 ან 2 მოსწავლეც არის წარმოდგენილი კლასში), აქვთ კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა, მათი საჭიროებების შესაბამისად. უზრუნველყოფილია ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტირება, პრაქტიკულად სრული სასწავლო პროცესის განმავლობაში. ასევე, სკოლას გათვალისწინებული აქვს სადამრიგებლო საათი, დამრიგებლებს ვალდებულება აქვთ, მოსწავლეებს მხარი დაუჭირონ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში, მშობლებთან ჰქონდეთ კომუნიკაცია მოსწავლეების მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ და ა.შ. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მხარდაჭერით კმაყოფილები არიან. სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის №2-34 ბრძანებით დამტკიცებულია რემედიაციის დებულება, რომელიც განსაზღვრავს რემედიაციის პროგრამაში ჩასართავი მოსწავლეების იდენტიფიცირების და ხელშეწყობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა: შესწორდეს რემედიაციის დებულებაში სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან დაკავშირებით აღნიშნული ჩანაწერი, რადგან სკოლა არ ახორციელებს საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას და შესაბამისად, არ ჰყავს საშუალო საფეხურის მოსწავლეები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც ითვალისწინებს შემოსული განცხადებების რეგისტრაციის საკითხებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სხვადასხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში განცხადებით, საჩივრით მიმართვის შესაძლებლობა. დოკუმენტი ცნობილია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. მშობლებთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მხრიდან მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობით კმაყოფილება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა საკუთარი რესურსების გათვალისწინებით ხელს უწყობს სხვადასხვა ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებას. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი ან სხვა საერთო სივრცე, თუმცა, სკოლის ფოიეში პერიოდულად იმართება სასკოლო ღონისძიებები, აღინიშნება დღესასწაულები. სკოლის პერსონალთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით გამოიკვეთა კონკრეტული ღონისძიებები (პროექტი, ექსკურსია), რომელიც მოსწავლეთა ინიციატივით დაიგეგმა და განხორციელდა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეებს და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, სკოლის დირექციას, მასწავლებლებს წარუდგინონ მოსაზრებები მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე. პერიოდულად იგეგმება მშობლებთან შეხვედრები/მშობელთა კრებები, რომელიც ასეთი დისკუსიის წახალისებას ემსახურება. თავისუფალ კომუნიკაციას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, რაც ინდივიდუალურად კომუნიკაციის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დადებითად აფასებენ სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებას, არ გამოკვეთილა კონკრეტული საკითხი/პრობლემა, რომლის გადაჭრის სურვილითაც მიუმართავთ სკოლისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სასწავლო პროექტის გეგმა: „კიბერბულინგი - იდენტიფიცირება და პრევენცია“.
- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აქვთ გამოკვეთილი პროფესიული ინტერესები და ჰქონიათ კომუნიკაცია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციისსაკითხებზე მასწავლებლებთან, კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, როგორც აქტივობა ასახულია სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშიც, პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულნი არიან კლასის დამრიგებლები. ამასთან, კონკრეტული ხედვა, მექანიზმი ან თანამშრომლობები უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დაწესებულებას მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს არ ჰქონდა, ასევე, მიზნობრივად დაგეგმილი ან/და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ ყოფილა. ინდიკატორის მოთხოვნა არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად და დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 25 დეკემბერს შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი, რომლის საგანია მოსწავლეებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების გაცნობა და პროფესიული განათლების შესახებ მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება.
ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს მემორანდუმის გაფორმების ფაქტს და მიაჩნია, რომ თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ განვითარებაში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი არ ფლობს ინფორმაციას განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესახებ, რის გამოც, არ ცვლის შეფასებას.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. გასაუბრებებით დგინდება, რომ მოსწავლეები ინტერესდებიან და სკოლის პედაგოგები პერიოდულად საუბრობენ მოსწავლეებთან სხვადასხვა პროფესიების შესახებ. მოსწავლეები და მშობლები დაწესებულებისაგან ინფორმირებულები არიან, რომ საშუალო საფეხურზე სკოლა ვერ

სთავაზობს მომსახურებას და გეგმავენ საშუალო საფეხურზე სხვა სოფლის სკოლაში სწავლის გაგრძელებას. ასევე აქვთ ზოგადი ინფორმაცია, რომ საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ შესაძლებელია სწავლის პროფესიულ სასწავლებელში გაგრძელება და სრული ზოგადი განათლების მიღების შემდეგ სწავლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაგრძელება. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას და უცვლელად ტოვებს რჩევას: სკოლას, სასურველია ჰქონდეს მრავალფეროვანი ინფორმაცია და ინფორმაციის მიწოდების ხერხები ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების საკითხზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროცესების შესაფასებლად და გაწეული მომსახურების შედეგების უკუკავშირის სამომავლო ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოსაყენებლად სკოლა მუდმივად ცდილობს ინფორმაციის მიღებას საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ წასული მოსწავლეების პროფესიული განვითარების შესახებ. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დასტურდება მოსწავლეებს, მშობლებს, დირექციას და მასწავლებლებს შორის კარგი კომუნიკაცია. აღნიშნულს ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, ამასთან, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევას: სკოლამ სასურველია სამომავლოდ შეიმუშაოს სისტემური მექანიზმი გაწეული მომსახურების შედეგების შესაფასებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გასაუბრება სკოლის პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.
- 2025 წლის 25 დეკემბერს სკოლასა და შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან“ გაფორმებული მემორანდუმი,

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ამასთან, სკოლამ უზრუნველყო ზოგადი ხასიათის რეგულაციის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლის სკოლაში იდენტიფიცირებას ასეთის არსებობის შემთხვევაში და მის მხარდაჭერას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი ხასიათის მექანიზმი, რომლის შესაბამისადაც მოახდენს სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირებას და საჭირო სერვისების განვითარებას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების მიწოდების რეგულაცია.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გასაუბრება სკოლის პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1 (ერთი) ელექტრონული ფაილი (დაწესებულების მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია).

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავმჯდომარე: ლიკა გიორგაძე



წევრ(ებ)ი: კახაბერ ფარცვანია

თარიღი: 13.01.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: